



ფეხები ჩელები, მაკა სალია

დუზჯეს რეგიონში მცხოვრებ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების სოფლები და ენობრივ-ეთნიკური იდენტობა

მუჰაჯირობა, ერთ-ერთი უმძიმესი ტრაგიკული მოვლენაა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიაში. აღნიშნული საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო ქართულ სივრცეში. ქართველ მუჰაჯირთა ბედი, მათი ხვედრი უცხო მიწაზე ყოველთვის წარმოადგენდა ქართველი საზოგადოების ინტერესს. ცნობილია, რომ მუჰაჯირობა არა მარტო ქართული, არამედ ზოგადკავკასიური ტრაგედია იყო.

მუჰაჯირობის თემა მრავალმხრივ არის საინტერესო - პოლიტიკური, ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ ენობრივი თვალსაზრისით. ამიტომაც, დროთა განმავლობაში ინტერესი აღნიშნული მოვლენისადმი უფრო და უფრო იზრდება.

დიდი ხნის განმავლობაში მუჰაჯირობის თემა ტაბუდადებული იყო. არსებული სიტუაცია არ იძლეოდა საკითხის საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას. დრო გადიოდა და მიუხედავად დიდი ისტორიული ქარტეხილებისა, ქართველი მაინც არ კარგავდა რწმენას, იმედს კვლავ შეყრისა და საუკუნეებით დაგროვილი ტკივილის გაზიარებისა. მიუხედავად არსებული სიტუაციისა, მაინც არსებობს - უცხოელ თუ ქართველ (მ. არიფის, ე. დალეჯიო დ'ალესიოს, პ. მაგნარელას, ზ. ჭიჭინაძის, გ. ყაზბეგის, შ. ფუტკარაძის, ტ. ფუტკარაძის, რ. თოფჩიშვილის, ი. ლუტიძის, ი. რაჭველიშვილის და სხვათა) მეცნიერთა ნაშრომები, კვლევები, IXX-XX საუკუნეთა ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული წერილები - თურქეთში მიმობნეულ ქართველთა შესახებ.

თურქეთში ქართველებით დასახლებული ადგილების შესახებ არსებობს სხვადასხვა მონაცემები. გადასახლებული ქართველები ცდილობდნენ ტყიან, წყლიან და ბუნებით მდიდარ ისეთ ადგილებზე დასახლებულიყვნენ, რომლებიც მათ საქართველოს მოაგონებდათ. ერთ-ერთი ასეთი ადგილი არის **დუზჯეს პროვინცია** - შავი ზღვის რეგიონი. ის მოიცავს 8 რაიონს. მართალია, დუზჯე ვაკე ადგილია (ამაზე მისი თურქული სახელწოდებაც მიგვანიშნებს), მაგრამ სოფლები სადაც მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები ცხოვრობენ არის მაღლობი, მთიანი, მწვანეში ჩაფლული ადგილები, რომლებიც მართლაც საოცრად ჰგავს მშობლიურ აჭარას - დედასაქართველოს.

დუზჯეს რაიონებია: **აქჩაქოჯა, ილიჯა, ჯუმაიერი, ჩილიმლი, გოლიაქა, მუნჯურლუ, ქაინაშლი** და ცენტრალური რაიონი - **დუზჯე**.



ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, 1918 წელს დუზჯეს მოსახლეობის რაოდენობა ყოფილა 60200; ამათგან 24723 - თურქი, 9813 - ჩერქეზი, 6914 - აბაზა, 4891 - Rumeli თურქები (ტყვეები ?) 1242- თათრები (ყირიმელი), 747- ქურთები, **3225 - ლაზები და გურჯები**, 6405 - ბოშა, 90 - ბოშნაკები, 705 - კოპტები.

როგორც ვხედავთ, საინტერესო სურათს ქმნიდა მოლაპარაკეთა ნაირგვარობა. როგორც შენიშნავენ, ყველა ჩამოთვლილი ეთნოსი საკუთარ ენაზე ლაპარაკობდა...

დუზჯეში მცხოვრებ ქართველთა დიდი ნაწილი პირდაპირ ბათუმიდან თუ აჭარის სხვა კუთხიდან კი არ არიან მოსულები, არამედ ისინი ჯერ გირესუნში ან ორდუში გადმოსულან, შემდეგ იქიდან დუზჯეში და აქ დამკვიდრებულან.

პროფ. ალი ერთულრული ვრცლად მსჯელობს ისტორიულ იმ ცნობებზე, რომლებშიც დუზჯეს შესახებაა ინფორმაცია დაცული. ერთგან შენიშნულია, რომ ლაზ-გურჯები დუზჯეს ტერიტორიაზე, კერძოდ იილჯას სოფელში 1831 წლის აღწერის დოკუმენტებშიც არიან დაფიქსირებულნი. ამ დროის მოსულებად ივარაუდება „ქირიქ ქოის“ (იილჯას რ.) მოსახლეთა ის ჯგუფი, რომლებიც თავს გურჯებად თვლიან, ამბობენ რომ გურჯები არიან, მაგრამ უფროს თაობასაც აღარ ახსოვთ ქართული ენის მცოდნენი და არანაირი ქართული წეს-ჩვეულება მათში აღარ შემონახულა (ჩელები, 2018).

1928 წლის დოკუმენტების მიხედვით, ქართული სოფლების ჩამონათვალი ასეთია: გურჯუ ჰუსეინ ალა ქოი (ჩილიმლი), ჰამამუსტუს გურჯულერ ქოიუ, ასარ გურჯუ ქოიუ, გურჯუ ჰიზარდერე, ქირაზლი ქოიუ....

დუზჯეს ცენტრში არის ერთი მაჰალე, რომელიც აღნიშნულ წლის საბუთებში დადასტურებულია სახელით **გურჯუ მაჰალესი**; აქ დღესაც ბევრი ქართული ოჯახი ცხოვრობს და უბნის ძველი სახელიც ბევრმა იცის.

1890 წლის დოკუმენტების მიხედვით, აქაქოჯას სოფლებში (მესექოი და ლაჩნა) გურჯებთან ერთად ნახსენები არიან მეგრელები (და არა ლაზები), რომლებიც ბათუმიდან ჯერ ტრაპიზონში მოსულან და შემდეგ კი აქაქოჯაში...

დუზჯეს პროვინციაში ძირითადად ქედის, ხულოს, შუახევის რაიონებიდან და ბათუმიდან გადმოსახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ.

ეთნიკურად ქართველებით დასახლებული სოფლებია:

დუზჯეს რაიონი: აიდიფინარი (აჭარა)“, ასარი (აჭარა), გოლორმანი (აჭარა), დოღანლი (აჭარა), იიეშილჩამი (აჭარა), მუნჯურლუ (აჭარა - შუახევი, ხულო), მუსაბაბა (აჭარა - შუახევი), ფინდიქლიაქსუ (აჭარა), ჩაქირჰაჯიბრაჰიმი (აჭარა), ჩიფთლიქოი (აჭარა - შუახევი, ხულო), შიმშირი (აჭარა).

^{**}ფრჩხილებში მითითებულია ის ადგილები, საიდანაც, მოქმელთა განმარტების მიხედვით, ეს მოსახლეობა ჩამოსულა.



აქაკოვას რაიონი: დოდანჯილარი (აჭარა), ესმეჰანიმ (აჭარა), მელენაღაზი (აჭარა - ბათუმი), უღურლუ (აჭარა), ჩიჩეკვინარი (კლარჯეთი - ნიგალი).

ჩილიმლის რაიონი: იეშილ მაჰალესი (აჭარა - მაჭახელი), იეშილთეფე (აჭარა), მაჰირაღა (აჭარა), ჰიზარდერე (აჭარა).

გოლიაქას რაიონი: ჰამამუსტი (აჭარა - ქედა), ჰაჯიიაქუფი (აჭარა).

ილილჯას რაიონი: ქირიქ (აჭარა).

„ქართულ სოფელს“ პირობითად ვამბობთ იმ შემთხვევაში, თუ აქ მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურად ქართული წარმომავლობისაა. თუმცა ზოგჯერ გურჯი მთქმელები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ „აქ პილველაი ჩვენი დეედები მოსულანო; სხვა არავინ იყვენ მარტვეი გურჯები ვიყავით, მემრე გევერით კუდიანებსო...“. ერთ-ერთი ასეთი სოფელია გურჯუ ჩიფთლიქი.

გურჯუ ჩიფთლიქი - მდებარეობს ქალაქებს დუზჯესა და იაღლიჯას შორის. საქართველოდან წამოსულმა სოფლის მცხოვრებლებმა ახლად დაარსებულ სოფელს გურჯუ ჩიფთლიქი (ქართული სოფელი / მეურნეობა) უწოდეს. აი, როგორ აღწერს საქართველოდან, სოფელ ახოდან გადმოსახლებული 80 წლის სელიმ მაჰაჰიროღლუ გადმოსახლების ამბებს: „ჩვენ სტამბოლში გემით ჩავსულვართ. გემს ღუზა ბათუმში 112 ერთი თვით ჩაუშვია და იქ გაჩერებულა. ვისაც სურდა წამოვიდა, ვისაც არა - საქართველოში, სოფელ ახოში დარჩა. სახელმწიფომ ჩვენ ადგილი ადანაში გამოგვიყო. ჩვენ ის ადგილები მივატოვეთ და ჩვენი ხარჯებით დუზჯესთან დავსახლდით. ეს ადგილები მამაჩემს 60 ოქროდ შეუსყიდია. ზოგიერთი ჩვენი ნათესავი იზმითში და სხვა სოფლებში დასახლებულან. მათთან მიმოსვლა და ურთიერთობა ახლაც გვაქვს.

მუჯურლუ - სოფელში მოსახლეობის 40% ქართველია. სოფელ მუჯურლუს შემადგენლობაში შედის 5 უბანი (მაჰალე). ესენია: ბესნი, შაფსი, იშიქ მაჰალესი, ელმალიქ მაჰალესი, ესას მერქეზ მაჰალესი. მუჯურლუს ქართველობა ღორჯომიდან, შუახევიდან და ჭვანიდან მოსულთა შთამომავლები არიან.

ჩიფთლიქი - აჭარლების სოფელია: შუახევი, ახალდაბა, ქედა, ჩვანა (ჭვანა), ქობულეთი. აქ ცხოვრობენ: მაკარაძე (მაკარაშვილები), ბერიძე, კობალაძე, კირხველა (კირხველი/კირჩხელი?). სოფელ მშირში მაჰმუდ მერჯანი/კობალაძის გადმოცემით: „ორმოცი სახლია ქართველების: შირინოღლი, ჯემტეროღლი, ხილაძე, კოკოლოღლი (ქარცივაძე), ასტანოღლი, კობალაძე, კარააბდოღლი.

იეშილთეფე - დუზჯედან 15 კილომეტრშია. თახსინ ბირინჯის გადმოცემით, სოფელში ცხოვრობენ: ბირინჯოღლი, სეიდოღლი, ქაზანჯოღლი, ქარაქოშანოღლი, ქოშანოღლი, შავშეთლი. „აგინი ლაყაბებია, იქიდან მოსული ლაყაბები. სოფელში იუზალთი (106) ოჯახია, აჭარლები ვართ. დედეი იქიდან მოვდა. ჩამოთვლილი სახელები, რა თქმა უნდა, გვარები არაა. ასეთ შერქმეულ სახელებშიც მათი



წარმომავლობის სახელებია მეტსახელად ქცეული და თითოეულ მეტსახელს კი თავისი წარსული „ისტორია“ აქვს.

მახირაღა (დუზჯეს პროვინცია - ჩილიმლის უბანი) - სოფელში 70-მდე ოჯახია, აქედან 20% ქართული. ხუსეინ გელამის (ქურთი) გადმოცემით: „ბათუმიდან წამოსულებს ამბობენ ჩვენზე, აჭარიდან. გელოღლი, ოდაბაშოღლი, ჯემტეროღლი, ჰელიმოღლი, ბაირაქი. მეტი არაა“.

ჩიჩეჭვინარი - სოფელი მდებარეობს დუზჯეს ილის აქქოჯას ილჩეში - 80-მდე ოჯახია, ქართული არ იცინა.

ეფთენი (გოლიაქას ილჩე) სოფელ ჰამამუსთუს და ჰაჯი იაქუფის შემოგარენს ჰქვია. ეფთენის ქართველების უმეტესობა აჭარისწყალზე მდებარე სოფელ წონიარისიდანაა წასული. ასევე იხსენებენ ზეგანს, ქედას, ზვარეს, ლოდას, გულებს, ვანს და ა. შ. ზუსტად არავინ იცის, ქართველებმა როდის აითვისეს ეფთენის მიწები. გადმოცემით იციან, რომ 1877-1878 წლების შემდეგ, წონიარისელები გადასახლდნენ ეფთენში. როგორც თვითონ ყვებიან, ისინი ჯერ სტამბოლში, შემდეგ კი აქჩაქოჯაში, სინოპში, სამსუნში, ორდუსა და გირესუნში ჩაიყვანეს. მიზანი მათი გაფანტვა კი არა, ბათუმთან დამაკავშირებელი პორტების განახლება იყო. როგორც იმ დროის ქართული პრესა („კავკაზი“, „დროება“, „ივერია“) იუწყებოდა: „ადამიანებმა ჩალის ფასად გაყიდეს მიწა და ყველაფერი, რაც კი ხელთ ჰქონდათ. ჩავიდნენ პორტებში და თვეების განმავლობაში გემებს ელოდებოდნენ, ამ ლოდინში ბევრს ფული გაუთავდა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა“. წონიარისელების ერთი ნაწილი გემ „იავუზით“ გირესუნის პორტში ჩავიდა და ქეშაფის ილჩეში დასასახლებელი ადგილის ძებნას შეუდგა“.

დუზჯეს პროვინციის სოფელ ეფთენში ცხოვრობენ: ჩელები - ჩელებიოღლები (ჩელებადეები), იავუზები-საქალარი (ისმაილადეები), ჩაქარები - ილდიზები (ქინძაშვილები), გოგიტიძეები, გულები - აქაბები (გულაშვილები - კვირხილადეები), ქილიჩები (მოლააჰმედიძეები), მეზარჯიოღლები (დიასამიძეები) და ა. შ. მათ წინაპრებს შერჩეული ადგილი მოეწონათ და სოფელი დააფუძნეს. აქ 10-15 კმ-ში მათ დასახლებული ჩერქეზები და ადგილობრივი თურქები დახვდათ. აქვე მცხოვრებმა რამდენიმე სომხურმა სოფელმა მალევე დატოვა რეგიონი. მართალია, დასაწყისში სხვა დამხვდურებთან შეუთავსებლობამაც იჩინა თავი, მაგრამ ეს მალევე დაიდლია და დროთა განმავლობაში მათთან და ორდუს, ტრაპიზონისა და გირესუნის მოსახლეობასთან ერთად დაიწყეს მშვიდობიანი თანაარსებობა.

ბოლუს ილის ქართულ სოფლებში, ძირითადად, აჭარისწყლიდან, წონიარისიდან გადასახლებულთა შთამომავლები ცხოვრობენ.

ამჟამად, დუზჯეს რეგიონში ქართველებით დასახლებული ადგილებია:



1. დუზჯეს გუბერნიის ცენტრი და ბეიქოს და ბოლაზიჩის მერიები;
2. დუზჯეს ცენტრალური სოფლები: ასარ, აიდინფინარ, ჩიფთლიქ, დოდანლი, გოლორმანი, ფინდიქლი აქსუ, მაჰირადა, მუნჯურლუ, მუსაბაბა, იეშლიჩამ, უჩქოფრუ/ბაღლარ (ლაზი), დუზქოი (ლაზი), იაქა (ლაზი), ქაბალაქ (ლაზი), ოსმანჯა (ლაზი), სანჯაქდერე (ლაზი), სუნჯუქ (ლაზი), შექერფინარ (ლაზი);
3. აქჩაქოჯას რაიონის ცენტრი;
4. აქჩაქოჯას რაიონის სოფლები: აჯარა (აჭარა), ჩიჩეფინარ (შიფირ), ქირაზლი, მელენაღზი (მელენიპირი). უღურლუ;
5. ჩილიმლის რაიონის ცენტრი;
6. ჩილიმლის რაიონის სოფლები: ჰიზარდერე;
7. გოლიაქას რაიონის ცენტრი (ეფთენი);
8. გოლიაქას რაიონის სოფლები: ჰაჯიიაქუფ (სარალთი), ჰამამუსთუ (ჰაჯი მემედალი ეფენდი), ზექერია (ლაზი);
9. ქაინაშლი რაიონის ცენტრი;
10. ქაინაშლი რაიონის სოფლები: შიმშირ;
11. იდილჯა რაიონის ცენტრი;
12. იდილჯა რაიონის სოფლები: ქირიქ, ჰასანლარ.

საყურადღებოა, თვითაღქმა მუჰაჯირთა შთამომავლებისა. ჩვენ მიერ მოძიებულ მასალებში, ისინი თამამად აცხადებენ რომ ქართველები არიან. საკუთარ თავს გურჯებს ეძახიან, ისე როგორც დანარჩენი რეგიონის მუჰაჯირები. ახალგაზრდებისთვის ცნობილია ტერმინი ქართველი და საქართველო. მათივე ახსნით, თურქეთი სამშობლოა, საქართველო კი - დედასამშობლო. სამწუხაროდ, ახალგაზრდებმა არ იციან ქართული ენა, ზოგს ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს, ამ მხრივაც სურათი მეტად ჭრელია. იმედის მომცემია მათი სურვილი და სწრაფვა ქართული ენის შესწავლისადმი.

ენისა და ერის ურთიერთმიმართების პრობლემა მეტად ძველია და აქტუალური. ეს საკითხი მეტად მტკივნეულია, როდესაც ვეხებით მშობლიური მიწა-წყლიდან მოწყვეტილი ქართველების ქართული მეტყველების საკითხებს. როგორ ესმით მათ და როგორ განიცდიან ამ პრობლემას, ამის ნათელსაყოფად ისევ მთქმელთა მოსაზრებებს მოვიშველიებთ. ამ შემთხვევაშიც ჩაწერილი მასალა, ანალიზის თვალსაზრისით, ორ პერიოდად შეიძლება დავყოთ. პირველი პერიოდი - ეს გახლავთ ადრინდელი, დაახლოებით 20-25 წლის წინანდელი ვითარების ამსახველი ტექსტები; ეს ის დროა, როცა დუზჯეს რაიონის ქართულ სოფლებში ჯერ კიდევ იყო ისეთი ქართული ოჯახები, რომლებშიც მხოლოდ ქართულად საუბრობდნენ. იქ სხვა ენას ვერც



გაიგონებდით. ოჯახის უფროსებმა თურქული არ იცოდნენ, იგივე შეიძლება ითქვას სკოლამდელებზე, სკოლის ასაკის იმ ბავშვებზე, რომლებიც ახლად ეუფლებოდნენ თურქულს და ახალგაზრდებზე, რომლებმაც მეტნაკლებად იცოდნენ სასაუბრო თურქული, მაგრამ ოჯახში არ ლაპარაკობდნენ მასზე. ოჯახში ყველასთვის გასაგები, საკომუნიკაციო ენა ქართული იყო. უფრო მეტიც, ბებიები და ბაბუები გვიკრძალავდნენ სახლში თურქულად ლაპარაკს: ასე 6-7 წლის ვიქნებოდი, როდესაც ეზოში ლამაზი ქვა ვიპოვე და ბებიასთან მივირბინე, - ნახე, რა ლამაზი თამბაქო-მეთქი („ქვა“ თურქ. თამბაქო - Taş); ბებია მწყნარი კილოთი შემომხედა და მითხრა ამას ჩემს ეზოში ქვა ჰქვიაო; მან გარკვევით წარმოსთქვა ეს სიტყვა - ქ ვ ა და მიმანიშნა რომ ბებიასთან, მის ქართულ კარმიდამოში ქართულად უნდა მელაპარაკა; რომ მის ეზოში ნაპოვნ ყველა საგანს ქართული სახელი ჰქონდა... გურჯები ვართ იტყოდნენ თამამად. ამაყად ჰყვებოდნენ თავიანთ მწარე ისტორიებს და ასე გადიოდა დრო-ჟამი. ისინი ძალიან მტკივნეულად განიცდიდნენ ქართველი ახალგაზრდების თურქულ საუბარს. მახსოვს, 115 წლის მეზობელმა კაცმა, რომელიც მოაზროვნე და დიდად ნაფიქრი იყო, ერთხელ ქუჩაში შეკრებილ ახალგაზრდებს გვითხრა - „არ გადაიქცეთ შვილებო!“ არ გადაიქცეთ, ანუ არ შეიცვალოთ, ქართველებად დარჩითო, ამას გულისხმობდა. მისი თვალები სევდით იყო სავსე და ამ სიტყვებში იყო თხოვნა, მუდარა.

მიუხედავად მოხუცის მუდარისა, დრომ მაინც თავისი გაიტანა. დრომ, მეტნაკლებად, მაგრამ მაინც იმოქმედა ყველაზე, ყველაფერზე და ბევრ ძირძველ ქართველს ენა გადაავიწყდა. ეს ვითარება ჩვენ მიერ ახალმოპოვებულ მასალაში კარგად ვლინდება. „მე გურჯი ვარ“ - კვლავ გვესმის ეს სიტყვები, ისევ ისე თამამად და ამაყად, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ფაქტებიც გვხვდება ახალგაზრდების საუბარში: - მამაჩემი ქართველია, ბაბუა მყავდა ქართველი... თავად კი არ თვლის თავს ქართველად. რატომ? მიზეზი ერთია: ამ კატეგორიისთვის ქართველობა ქართული ენის ცოდნასთან ასოცირდება - თუ ქართული არ იცის, მაშინ ქართველი არაა (თუ ვერაა). მსგავსი დამოკიდებულება თურქეთის სხვა რეგიონებში მცხოვრებ ქართველებშიცაა დაფიქსირებული. ი. ლუტიძე თავის ნაშრომში „ქართველები თურქეთში - ენობრივი ვითარება“, შენიშნავს: „ნიჭიერი ქართველები ძალიან სწრაფად ითვისებდნენ თურქულს, რაზეც მათი ბებია-ბაბუები წუხდნენ და ამ ვითარებას ასე აფასებდნენ: ორი დღეა ოქულში (სკოლაში) წავიდა და თურქი გამხდარაო. ენის შეცვლა მათთვის ქართველობისგან მიქცევად აღიქმებოდა (ლუტიძე, 2016, 93). არის ასეთი შემთხვევებიც: **ბლავი გურჯია, ენა არ იცის, ვერ ლაპარაკობს. კაცი ენას დაკარგავ, დაიკარგვით.** თელი გურჯები ვართ, ამა გადაბრუნდა ჩვენი ენა. თქვენ ლამაზი ლაპარაკობთ ჩვენ იმფერ ვერ ვაფერებთ; გარეცხილი ქართველები ვართ, ამტონი



დავრჩით“. და მაინც, „დედაენა ქართულია, გურჯები ვართ, თელი გურჯები, ჩვენი გურჯუჯე დედაენაა“; „თურქიე ჩვენი ვათანია, გურჯისტანი მემლექეთი. ჩვენ გურჯები ვართ, გურჯუჯე ჩვენი ანადილია...“ ან კიდევ, „დედაენა დედას ენაა. დედა იმ ენაზე ლაპარაკობდა. დედა თუ გიყვარს, ენაც უნდა გიყვარდეს და არ დაკარგვო...“ ფაქტია, რომ ოჯახებში, სადაც დიასახლისი ქართველია, ანუ დედა თუა ქართველი, იქ მეტადაა ქართული ენა (და სხვა ქართული ტრადიციები) შემონახული. არის რამდენიმე ასეთი შემთხვევაც, თურქულ-ქართულ ოჯახებში: რძალი თურქია, მაგრამ ქართული იცის - ესმის და მეტყველებამაც იყენებს; თან შენიშნავს, რომ „დედამთილმა მასწავლაო ... ჩვენებურაი ლაპაიკობდაო“.

როგორც აღვნიშნეთ, დრომ და გარემომ მოგვცა ის შედეგი რაც გვაქვს. „გავერიეთ კუდიანებში, კაბიანებში... დეილია ქართველობა. ენა გადებრუნდა“. კუდიანებში თურქებს გულისხმობენ, კაბიანებში - ჩერქეზებს ... „ჩვენებური ჩვენებურს მოიყვანდა, ქალს სხვას არ მიცემდით. სუ კაი ის იყო. ახლა დეილია ყუელაფერი“... როგორც ზემოთ აღვნიშნე, ადრე იყო ქართული ოჯახები, სადაც თურქულს ვერც გაიგონებდით. ამას საზოგადოებრივი პირობებიც უწყობდა ხელს. არ იღებდნენ სწავლა-განათლებას, ანუ არ მიდოდნენ თურქულ სკოლებში, შესაბამისად, არც სხვა ტიპის სასწავლებლებში; ქართველები მხოლოდ ქართველებთან ურთიერთობდნენ და საზოგადოება არ იყო ინტეგრირებული. დროთა განმავლობაში, მას მერე რაც სწავლა-განათლება აუცილებელი გახდა, დაჩქარდა ინტეგრაციის პროცესი. ფაქტია, რომ ქართულ ოჯახებში გაზრდილმა ბავშვებმა, სკოლის ასაკამდე არც იცოდნენ თურქული ენა. ამის გამო ბავშვებს ძალიან უჭირდათ სწავლა; მათი მშობლები საყვედურსაც კი იღებდნენ მასწავლებლებისგან. გაუცხოების პერიოდი დიდი ხანი არ გრძელდებოდა და ბავშვები თურქულს იოლად ითვისებდნენ; შემდგომში კი წარმატებული, ნიჭიერი ქართველები სწავლის გასაგრძელებლად მიდიოდნენ დიდ ქალაქებში, სადაც ქართული გარემო აღარ ხვდებოდათ და ასე ნელ-ნელა ქრებოდა მათში ქართული ენა, რომლის ადგილსაც თურქული იკავებდა.

ამ ყველაფრის შედეგად დღეს გვაქვს ისეთი ვითარება, რომლის მიხედვითც თურქეთის ქართველებში დედაენის მცოდნეთა რაოდენობა საგრძნობლად მცირეა; იგივე შეიძლება ვთქვათ დუზჯეს რეგიონზეც. ამ შედეგით გულდაწყვეტილი ძირძველი ქართველები სინანულით აღნიშნავენ: „დაგვაბიწყდა ენა, დაგვაბიწყდა, გავირეცხეთ, გარეცხილი გურჯები ვართ... პაწაი დავრჩით. დეილია, თლად დეილია გურჯობა“; „მოვიყრებით გურჯები და ვერ ვლაპაიკობთ“. არსებული სიტუაციით გამოწვეული უსაზღვრო ტკივილი, სევდა, ჯავრი გადმოცემულია შემდეგი სიტყვებით: „დეილია, დეთავდა, დეიკარგა... გახმა გურჯობა“.



ქართული ენის შენარჩუნების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია დუზჯეს უნივერსიტეტში კავკასიური ენებისა და კულტურის განყოფილების გახსნა (2013 წ.), სადაც, ჩერქეზულთან ერთად, ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება. აღსანიშნავია, რომ დუზჯეს შემორჩენილი ქართული ენის დიალექტური ფორმების მოძიება-შესწავლაში სტუდენტებიც არიან ჩართული. სტუდენტებისთვის, რომლებიც უნივერსიტეტში, ბუნებრივია, აკადემიურ სალიტერატურო ქართულს ეუფლებიან, მეტად საინტერესოა ის სიტყვაფორმები, რომლებსაც მოქმედებისგან ისმენენ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი: **რა იჯები?** ეკითხება ინფორმატორი სტუდენტს. სტუდენტისთვის, რომელიც ახლად ეუფლება, ქართულს, როგორც უცხო ენას, კითხვა არაა გასაგები; მან იცის - **რას შვრები? რას აკეთებ? რას მოღვაწეობ?** ინფორმატორი ამტკიცებს, რომ ჩვენი ქართული სუფთა ქართულია, „დაწურული ქართული, იქითა ქართული შეიცვალა“. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში შემორჩენილი ბევრი სიტყვაფორმა, მართლაც უძველესია და მრავალმხრივ საინტერესო. ეს ფორმები დღითიდღე იკარგება და მათი დაფიქსირება და შესწავლა საშური საქმეა.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ მოძიებული მასალა, პირობითად, შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ. ერთი ნაწილი არის 90-იან წლებში ჩაწერილი და მეორე კი - ბოლო ერთი წლის განმავლობაში. მათი შედარება ძალიან საინტერესო სურათს იძლევა.

ადრინდელი მასალა ინფორმაციული თვალსაზრისით უფრო უხვია და ენობრივად უფრო დაწმენდილი უცხო ენის მინარევებისაგან. ადრინდელი; რესპონდენტებს არ უჭირთ გაბმული საუბარი ქართულად, თავისუფლად მეტყველებენ და აზრებს, შეხედულებებს საინტერესოდ გადმოგვცემენ. მოქმედები ენაწყლიანები, სიტყვაუხვები არიან. ბევრმა მათგანმა თურქული ენა არც იცოდა.

დღეს დუზჯეს რეგიონში მცხოვრებ ქართველებში აღარავინაა ისეთი, ვინც თურქული არ იცის. სიტუაცია რადიკალურადაა შეცვლილი; უკვე ძნელად ვპოულობთ ქართულის მცოდნეს და ისინი, ვისაც მეტნაკლებად, მაგრამ მაინც, შემორჩა ქართული ენის ცოდნა, ასე ჩივიან: „წინ-წინ მეტი კარგი იყო, სახლიდან არ გევდოდენ, სახჩი გურჯუჯე ილაპაიკობდენ“.

მუჰაჯირთა მეტყველების ნიმუშები მეტად საინტერესო სურათს იძლევა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხანდაზმულ მოქმელთა ახსნით, ქართული მათი დედაენაა; რადგანაც დედა მათ ამ ენაზე ელაპარაკებოდა, ქართული ენით აიდგეს ენა... მათივე ახსნით, სკოლაში წასვლამდე ბევრმა მათგანმა თურქული არც იცოდა, რადგანაც ადრე ქართულ ოჯახებში საკომუნიკაციო ენა მხოლოდ ქართული იყო. სკოლაში იწყებდნენ ისინი სხვა ენის - თურქულის სწავლას. ბევრს დაწყებით კლასებში საერთოდ არ ესმოდა მასწავლებლის თუ არაქართულენოვანი



თანატოლების; ამის გამო, ხშირად შენიშვნებს, საყვედურებს იღებდნენ მათი მშობლები. თუმცა ფაქტია, რომ ისინი მაინც ახერხებდნენ თურქული ენის დაუფლებას, წარმატებით ამთავრებდნენ სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, იქმნიდნენ კარიერას... ნიჭიერი და წარმატებული ქართველები ინიშნებოდნენ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ცხოვრებასთან ჭიდილში, ამ წარმატების სხვადასხვა ეტაპზე, ბუნებრივია, მათ უწევდათ ოჯახის, მშობლებისა და ქართული გარემოს დატოვება, დიდ ქალაქებში გადასვლა. მათ მეხსიერებაში ნელ-ნელა იბინდებოდა და, სამწუხაროდ, იკარგებოდა კიდევ ქართული ენა. მის ადგილს თურქული იჭერდა. რა თქმა უნდა, იყო კატეგორია, რომელმაც იმ დიდ თანამდებობებზეც მოახერხა ენის შენარჩუნება, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მათი რიცხვი დღეისათვის მაღალია.

და დღეს დუზჯეში მცხოვრები ეთნიკური ქართველები ქართული ენის ცოდნის მიხედვით, პირობითად შეიძლება ასე დავყოთ:

1. იციან ქართული ენა და ლაპარაკობენ ქართულად;
2. იციან, ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ;
3. ესმით, მაგრამ არ ლაპარაკობენ;
4. საერთოდ არ იციან (ბავშვებმა, ასევე, ახალგაზრდა და საშუალო ასაკის თაობამ).

ამ ჯგუფებს შეიძლება დავამატოთ კიდევ ერთი, ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, მაგრამ ბოლო წლებში არსებული თურქულ-ქართული კეთილმეგობრული ურთიერთობის გამო, აქვთ სურვილი ენას დაეუფლონ. ამ მიზნით, ისინი დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციასთან არსებულ ქართული ენის კურსებზე ეუფლებიან ქართულ ენას. მათი ასაკი შერეულია. ენის შემსწავლელ კურსზე ირიცხება 25 მსმენელი. ამათგან ყველაზე პატარა არის 6 წლის; ყველაზე უფროსი - 72 წლის; არიან ახალგაზრდებიც.

სარფის სასაზღვრო ჭიშკრის გახსნისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როდესაც თურქულ-ქართული ურთიერთობის ახალი ხანა დაიწყო, მუჰაჯირთა შთამომავლებმა შეძლეს დაკავშირება საქართველოსთან; ეს მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ბევრმა მათგანმა აისრულა ნანატრი ოცნება და უფრო კი აასრულეს წინაპართა - დედის, მამის თუ ბებია-ბაბუის წმიდა თხოვნა, მუდარა-სურვილი, რომ სხვა თუ არაფერი, ისე მაინც ენახათ სამშობლო, შეეგრძნოთ საქართველოს ცისა და მიწის სურნელი... იმ წინაპართა ნაცვლადაც მოჰყვრებოდნენ ოცნებაში ჩარჩენილ მემლექეთს. ასე მგონია, ჩვენებს, ჩვენებურ ქართველებს არასოდეს გაუწყვეტიათ ყველაზე ძლიერი - ფიქრითი, გონებითი კავშირები საქართველოსთან. მათ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულის გარდა, სხვა ენა არც იცოდნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ აღარ მიუწვდებოდათ ხელი



სწავლა-განათლებაზე და ოჯახურ გარემოში, ენაც უფრო სიცოცხლისუნარიანი იყო. ისინი სიზმრებსაც ქართულად ნახულობდნენ, ქართულად ქმნიდნენ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ცეკვავდნენ, მღეროდნენ ქართულად, ქართულ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს იცავდნენ; თუმცა, დრომ მაინც თავისი გაიტანა. და მაინც, დღევანდელი მდგომარეობა, აღდგენილი ფიზიკური კავშირები სამშობლოსთან, თავის ნაყოფს მოისხამს.

როგორც აღვნიშნეთ, დუზჯეს საამაყოდ და თურქულ-ქართული ურთიერთობის საკეთილდღეოდ უნდა ითქვას, რომ 2013-2014 სასწავლო წლებში დუზჯეს უნივერსიტეტში გაიხსნა კავკასიური ენებისა და კულტურის განყოფილება, სადაც ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის გვერდით, ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებაც. საბაკალავრო საფეხურს 2016-2017 სასწავლო წელს დაემატა მაგისტრატურაც. აღნიშნულ სპეციალობაზე ყოველ წელს იზრდება სტუდენტთა რაოდენობა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს სპეციალობა თურქეთში მოთხოვნადი გახდა. დუზჯეს უნივერსიტეტში სასწავლო წლის განმავლობაში, ხშირად იმართება სამეცნიერო და შემეცნებითი ხასიათის ქართული ღონისძიებები - პოეზიის საღამოები, ქართული ენის სტუდენტთა კონფერენციები, შეხვედრები; ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის კუთხით, მეტად ფასეულია „ქართული კალიგრაფიის კონკურსი“, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. ასევე, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით, 2017 წლის მაისში ჩატარებული სიმპოზიუმი, რომელიც მიემდგნა შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს. დუზჯეს უნივერსიტეტმა, სხვა რამდენიმე ორგანიზაციის თანადგომით, სიმპოზიუმის მასალების ამსახველი კრებულებაც გამოსცა. ამას ყველაფერს ხაზგასმით მხოლოდ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ მსგავსი კულტურული ურთიერთობები საზოგადოებაში თავის კვალს ტოვებს.

თურქულ-ქართული კეთილშეგობრული ურთიერთობის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის ღვაწლი. ასოციაციის მეოხებით ფუნქციონირებს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის წრეები. ქართული კულტურის ასოციაცია დუზჯეში არის ქართველებისა და ქართული კულტურით დაინტერესებულ პირთა თავშეყრის ადგილი, სადაც ბევრი საჭირო და მნიშვნელოვანი ღონისძიება იმართება.

უნდა ითქვას, რომ ენობრივი სიტუაცია დღითიდღე იცვლება: ის თაობა, რომელთა საკომუნიკაციო ერთადერთი ენა ქართული იყო, უკვე აღარ არის. ქართული ენის კარგად მცოდნენი მოხუცებიღა არიან, რომელთა რიცხვიც მცირეა. მათ, რა თქმა უნდა, თურქულიც იციან, ორივე ენაზე თავისუფლად მეტყველებენ, თუმცა, მათ თურქულ საუბარში ქართული აქცენტი აშკარად შეინიშნება. საინტერესოა მათი მეტყველების თავისებურებანი და ის ქართული მასალაც, რაც



მათ მეხსიერებას შემორჩა - შელოცვები, ანდაზები, ზღაპრები, ლეგენდები ... წინაპართაგან მონათხრობი თუ თავად მოსმენილი საინტერესო ამბები, რომელთა შორის მთავარი მაინც „ბათუმური ამბებია“.

ჩვენი კვლევის მიზანია ამ მასალის გადარჩენა, დაფიქსირება და შესწავლა, რამდენადაც, საანალიზო მასალა მეტად მრავალფეროვანია და ასევე მრავალმხრივ საინტერესო. მასში ინახება საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ეპოქის ისტორია, აჭარული დიალექტის უიშვიათესი ფორმები და ისეთი ძირძველი ქართული ლექსიკა, რომელიც ამჟამად არც სალიტერატურო ქართულში ჩანს, მისი მნიშვნელობა აჭარულ დიალექტშიც გაბუნდოვანებულია და ლექსემა მივიწყების პირასაა. უმნიშვნელოვანესია დაკვირვება იმაზე, თუ დრო და სივრცე როგორ მოქმედებს ენის ფენომენზე. აღნიშნულთან დაკავშირებით გვახსენდება ერთ-ერთი ინფორმატორის სიტყვები: კაობა იყო როცა ყველა გურჯუჯა ვლაპაიკობდით; ახლა მეას კაი ვერ ვლაპაიკობ, თქვა და ცრემლიანი თვალებით დაამატა - ნეტაი ბათუმ მანახა რაფერიაო... (მთქმელი 90 წლის ქალბატონი იყო). ჩვენს საუბარს შვილიც ისმენდა და უთხრა, წავიდეთ, წაგიყვან, ნელა ვივლი; გზადაგზა გავჩერდეთ კიდეც და დევნახოთ ბათომიო. წასვლით წავალ, მაგრამ ახლა იმ ასაკში ვარ - ბათუმის ნახვის სიხარულს მე ვერ გადავიტანო.

ვფიქრობთ, მომავალი თაობა და საქართველო უნდა იცნობდეს ამ მასალას და იმ ხალხსაც, ვინც ის შემოგვინახა.

დამოწმებული ლიტერატურა:

თოფჩიშვილი 2017 - როლანდ თოფჩიშვილი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში. თბილისი, 2017;

ფუტკარაძე, 2005: ტარიელ ფუტკარაძე, ქართველები I, თბილისი, 2005;

ფუტკარაძე 2017 - ნანა ფუტკარაძე, ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავიზღვისპირეთში. ისტორიის დოქტორის აკად. ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ბათუმი, 2017;

ქასაბი, 2019: Murat Kasap, 93 Harbi Batum Muhacirleri, İstanbul, 2019;

ჩელები, 2018 - ფევაზი ჩელები, დუზჯეს მხარეში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებანი; სადისერტაციო ნაშრომი; სამეცნიერო ხელ,-ლი პროფ, ტარიელ ფუტკარაძე. თბილისი, 2018;

ფაღავა, 2016 - ფაღავა მამია, მუჰაჯირთა შთამომავლებთან; ბათუმი, 2016.

